საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/208 " 20 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შემოსული მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 19 ნოემბრის წერილში აღნიშნულია, რომ ვინაიდან 2020 წლის 18 ნოემბერს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის შედეგებით მცხეთის რაიონულ სასამართლოში დაინიშნა 3 მოსამართლე, მიზანშეწონილია ვადაზე ადრე შეწყდეს ამავე სასამართლოში თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა მივლინება. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემდეგი განკარგულებები:

ა) „თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ე. კულულაშვილის მცხეთის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს №1/126 განკარგულება;

ბ) „თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნ. ჩახნაშვილის მცხეთის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს №1/127 განკარგულება.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2020 წლის 1 დეკემბრიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი